დიდება

სიცოცხლის ფიალა აივსო სისხლითა,
ცხოვრების ყვავილებს ქარცეცხლი სწვავს,
სნეული ქვეყანა ითვრება ზიზღითა,
ინთქება, ახრწნება, იხრჩვება, - სვამს!
-- სალამი, სალამი აღსასრულ ჟამს!
პყვაოდა ოცნება - დამწიფდა ნაღველი,
ლეში და სიმყრალე ამშვენებს ველს,
დაიმსხვრა მიზანი, მზის გამომსახველი,
გავგიჟდით, დავეძებთ ჩვენ განსაცდელს.
დიდება, დიდება, დიდება გველს!

ვიყავით ციხეში - ვგალობდით სიყვარულს,
დავლეწეთ -- ტაძარი ავუგეთ შურს,
წამების გვირგვინი დავადგით სიხარულს
და კუპრის ფსალმუნით ვლოცულობთ პურს,
- თაყვანი, თაყვანი ხალხს უსუსურს!

სისხლისა ნადიმზე ქვეყნისა მხეცები
სძიძგნიან, კორტნიან ურთერთსა თვალს,
ხარობენ გიჟები, ლაღობენ ბეცები,
ახალი წარღვნისა ანთებენ ალს!
- კურთხევა, კურთხევა, კურთხევა ხმალს!

სუფევდა სამშობლო: - შრომა და ერთობა,

დავამხეთ, ავსტეხეთ ცრემლისა ზღვა,
და გვინდა მეფობა და გვინდა ღმერთობა,
რომ ტანჯვის უფსკრულში ჩავძიროთ სხვა.
- ესროლეთ, ესროლეთ, ესროლეთ ქვა!

ქვეყანას ახრჩობენ დღეს სპეკულიანტები,
პორფირი ყაჩაღებს დავუთმეთ მთლად,
ჩვენ გავხდით ჩონჩხები, ჩვენ დავრჩით ლანდები
დაგვმარხეთ, სამარე თუ არის მზად!)
- შენდობა, შენდობა, მენდობა მათ!

სად არის მიზანი, სად არის ნუგეში?
სიმართლე, სინათლე, მზე სიცოცხლის?
ოცნების ბაღნარში, ოცნების მხარეში,
სისხლი და ნაღველი, ბალღამი სდის,
- ილოცეთ, ილოცეთ, ილოცეთ ია.

სიცოცხლის ფიალი აივსო სისხლითა,
ცხოვრების ყვავილებს ქარცეცხლი სწვავს,
სნეული ქვეყანა ითვრება სისხლითა, .
ინთქება, იხრწნება, იხრჩვება - სვამს
- სალამი, სალამი აღსასრულ ჟამს!